

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ფშავი ჰიდრო“

ს/ნ 405026234

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2021

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
გენერალური დირექტორი



ლალი გორგილაძე
ბუღალტერი



2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7-13
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	8-12
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	13
შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა	13
შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფშავი ჰიდრო" ს/ნ 405026234
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14135	1	51331
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1161923	1087729	1822993
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3609	0	487780
მარაგები	3629	20473	334692
სხვა	3629	20473	334692
საინვესტიციო ქონება	54398	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	223	329	436
ძირითადი საშუალებები	3029181	3184705	1482818
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	4267098	4293237	4180050
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	520	30486	13417
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	363875	446273	369570
საგადასახადო ვალდებულებები	14916	38456	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	131263	151263	151263
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	112733	83992	55252
სულ ვალდებულებები	623307	750470	589502
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3600000	3600000	3600000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	43791	-57233	-9452
სულ საკუთარი კაპიტალი	3643791	3542767	3590548
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4267098	4293237	4180050
სულ მოკლევადიანი აქტივები	1164992	1087729	2310773
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	449044	599207	438239

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
 გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
 ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ნ 405026234
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები	31/12/2019	31/12/2018
ნეტო ამონაგები	586820	1343468
საქონლის გაყიდვიდან	511608	15681
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	75212	1327787
გაყიდვების თვითღირებულება	-231936	-1367110
საწყისი მარაგები	0	-353633
მარაგების შესყიდვა	0	-478604
გადამუშავების დანახარჯები	0	731596
საბოლოო მარაგები	0	3076
საერთო მოგება	354884	-23642
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-22536	-105
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-87140	-921
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-30253	-7563
იჯარის ხარჯი	-12440	-4875
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-47869	-5347
სულ საოპერაციო ხარჯები	-200238	-18811
საოპერაციო მოგება	154646	-42453
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-3438	522
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-50282	-5850
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	100926	-47781
მოგების გადასახადის ხარჯი	98	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	101024	-47781

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე /
 გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
 ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

17-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ნ 405026234
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შინაარსი	კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
1.1.2017 წაშთი	3,600,000	0	(9,452)	3,590,548
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება			(47,781)	(47,781)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი				0
31.12.2017 წაშთი	3,600,000	0	(57,233)	3,542,767
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება			101,024	101,024
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი				0
31.12.2018 წაშთი	3,600,000	0	43,791	3,643,791

ხელმძღვანელობის სახელით:

რეალური ქურდაძე
 გენერალური დირექტორი

ლალა გორგილაძე
 ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ნ 405026234
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2019	31/12/2018
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	14134	-55598
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	14134	-55598
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	4268
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1	51331
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	14135	1

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
 გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
 ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ს 405026234
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფშავი ჰიდრო“ რეგისტრირებულია 2014 წლის 17 იანვარს. საზოგადოების საინდენტიფიკაციო კოდია 405026234. საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #81ა საზოგადოების პარტნიორები არიან:

რაულ ქურდაძე	3/5 01023004375	წილი კაპიტალში 68,30 %
ქეთევან რობაქიძე	3/5 01008038037	წილი კაპიტალში 22,77 %
ზვიად გუგავა	3/5 53001001334	წილი კაპიტალში 8.93 %

საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება, სამისოდ საზოგადოებას საკუთრებაში გააჩნია ჰიდროელექტროსადგური მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სკუნდიდში და დარეგისტრირებულია ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობის მონაწილედ როგორც წარმოების ლიცენზიანტი.

საზოგადოების კუთვნილი ჰიდროელექტროსადგური მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სკუნდიდში ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა 2018 წლის ოქტომბრის თვიდან

საზოგადოება ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია. საზოგადოება ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს ელექტროენერგიის რეალიზაციის საფუძველზე.

საზოგადოებაში სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშსწორება ქვეყნის შიგნით ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ხოლო უცხოელ მომწოდებლებთან უცხოურ ვალუტაში. ოპერაციები საბუღალტრო აღრიცხვის მასალებში ლართან მიმართებაში აღრიცხულია ლარში, ხოლო უცხოურ ვალუტაში ოპერაციის განხორციელებისას ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2019 წლის ანგარიშგების მონაცემებით საზოგადოება წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე

გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე

ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

17-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ს 405026234
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა
ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საზოგადოებას საანგარიშო პერიოდში შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან (ელექტროენერგიის მიწოდება). აქვე ადგილი აქვს საკუთარი შენობა-ნაგებობებისა თუ კომუნიკაციების მოსაწყობად საჭირო ძირითადი საშუალებების მიწოდებას.

შემოსავლები ელ. ენერგიის წარმოება რეალიზაციიდან

№	თვეები	გენერატორების გამომუშავება კვტ.სთ	საკუთარი მოხმარება ჯამი; კვტ.სთ	ფაქტიური დანაკარგი კვტ.სთ	საღტეხე გაშვება კვტ.სთ 35/04	გაყიდული ელექტროენერგა კვ/სთ	
						გაყიდული ელექტროენერგა კვ/სთ	ღირებულება ლარებში
1	იანვარი	32,640	0.00	0.00	32,640	32,640	593.39
2	თებერვალი	27,036.00	744.20	581.80	25,725	25,725	2,730.45
3	მარტი	482,454	9,889.80	12,694.20	459,900	459,900	68,077.61
4	აპრილი	649,161	12,128.40	20,322.60	616,770	616,770	91,614.09
5	მაისი	519,552	9,650.80	15,351.20	494,580	494,580	38,806.92
6	ივნისი	216,738	5,470.40	5,947.60	205,350	205,350	17,672.62
7	ივლისი	339,525	6,357.20	9,377.80	323,880	323,880	35,359.89
8	აგვისტო	364,248	7,075.20	9,142.80	348,150	348,150	46,149.53
9	სექტემბერი	400,338	7,911.80	11,276.20	381,225	381,225	61,962.78
10	ოქტომბერი	438,345	8,878.20	12,031.80	417,465	417,465	68,036.77
11	ნოემბერი	303,741	7,122.20	7,778.80	288,870	288,870	47,178.97
12	დეკემბერი	223,704	6,027.80	5,771.20	211,920	211,920	33,424.76
სულ ჯამი		3,997,482	81,256.00	110,276.00	3,806,475	3,806,475	511,607.78

ხარჯების აღრიცხვა

საზოგადოების მიერ გაწეული დანახარჯები გამიჯნულია მუხლობრივად და მიკუთვნებულია იმ ოპერაციებზე რა ოპერაციებთან დაკავშირებითაც იქნა გაწეული აღნიშნული დანახარჯები. კერძოდ ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები გამოქვითულია ერთობლივი შემოსავლიდან.

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
 გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
 ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფშავი ჰიდრო" ს/ს 405026234
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

განყოფილება მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

მარაგი

განყოფილებაში მარაგები აღირიცხება საზოგადოების სასაქონლო მატერიალური მარაგები, მ.შ. ელექტროენერგია წარმოებისას დანაკარგების გათვალისწინებით. მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

საგჭრო მოთხოვნები გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

განყოფილებაში საგჭრო მოთხოვნები გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები აღირიცხულია საქონლის მიწოდებით წარმოქმნილი მოთხოვნები შემკვეთებსა და მყიდველებისადმი, მომწოდებელზე გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები. ამ მუხლში ხანდაზმული და/ან დადგენილ ვადაში გადაუხდელი მოთხოვნები და მიუღებელი მომსახურება არ ფიქსირდება.

ამვე განყოფილებაში აღირიცხება მოთხოვნები პარტნიორებზე კაპიტალის შევსების ნაწილში. შენატანები განხორციელებულია საზოგადოებაში საამისო მოთხოვნების შესაბამისად პარტნიორთა შეთანხმებით, მათი ფინანსური შესძლებლობებიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალებები

განყოფილებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება შენობა-ნაგებობები, მანქანა დანადგარები, მოწყობილობები და სხვა რაც შეძენილია ან აშენებულია, ექსპლუატაციის გაშვებულია საზოგადოების მიერ და აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ვალდებულებები

განყოფილებას ვალდებულებები აღირიცხება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, მუშა-მოსამსახურეთა მიმდინარე სახელფასო დავალიანება, სასესხო და სხვა დარიცხული ვადიანი ვალდებულებები.

საკუთარი კაპიტალი

განყოფილებაში საკუთარი კაპიტალი ასახულია საზოგადოების რეგისტრირებული კაპიტალი და წინა და მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილი ფინანსური შედეგი

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

17-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ნ 405026234
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სასესხო ვალდებულებების აღიარება

საზოგადოების სააღრიცხვო მონაცემებით ბანკიდან მიღებული სასესხო ვალდებულებები არ აღირიცხება. საზოგადოებაში აღირიცხება არასაბანკო დასესხებულებიდან მიღებული სასესხო ვალდებულებები, რომლებიც აღიარდება გადასახდელი

ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ, მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საზოგადოებაში ხანდაზმული და/ან ვადაგადაცილებული სავაჭრო მოთხოვნები არ აღირიცხება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასება

საზოგადოებაში ამორტიზირებადი ფინანსური აქტივები არ აღირიცხება.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა -ნაგებობები	2
მანქანა დანადგარები	4-5
კომპიუტერული ტექნიკა	10-20
ელექტრონული მოწყობილობები	10-20
კავშირგაბ-ის მოწყობილობები	10-20
ძირითადი საშუალებები	10-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები	20

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

7-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფშავი ჰიდრო" ს/ს 405026234
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

საზოგადოებას 49 წლიან საიჯარო სარგებლობაში გააჩნია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით სადაც აშენებულია ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა ნაგებობები და დამონტაჟებულია დანადგარ მოწყობილობები. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია 49 წლისთ.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე წიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
გენერალური დირექტორი

ლალა გორგილაძე
ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

17-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ფშავი ჰიდრო " ს/ნ 405026234
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამეშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამეშაო ვალუტაზე გასაცვლელი ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული კურსი ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც აღნიშნული წარმოიშობა.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვრულია სამეურნეო ოპერაციებიდან გამომდინარე სსკ-ის მოთხოვნების შესაბამისად გაანგარიშებული დაბეგრის ობიექტების გათვალისწინებით

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი იხეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

საზოგადოება აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიაწინებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე

გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე

ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

17-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფშავი ჰიდრო" ს/ს 405026234
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი ცვლილებების ასეულობიდან გამომდინარე საზოგადოების მიერ დაზუსტებული იქნა საზოგადოების 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება და გამომდინარე წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშგება.

შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან-2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით. საწარმოს მიერ წარდგენილია 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება, ფინანსურ ანგარიშგებების შემდგომ მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე დაზუსტებულია და გომომდინარე არ ფიქსირდება კორექტირებები წინა ანგარიშგებასთან მიმართებაში

შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 25 ივნისს.

შპს „ფშავი ჰიდრო“
დირექტორი



ბუღალტერი

რაულ ქურდაძე

ლალი გორგილაძე

ხელმძღვანელობის სახელით:

რაული ქურდაძე
გენერალური დირექტორი

ლალი გორგილაძე
ბუღალტერი

2021 წლის 25 ივნისი, ბათუმი, საქართველო

17-13 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.